პროლეტარიანო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოთა ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

კვირა, 20 მარტი, 1949 წ. № 55 (8358). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

მზრუნველობით ვზარდოთ პროპაგანდისტთა კადრები — „პრავდის“ 19-III მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
პროფესორი ა. ინწკირველი — რას ნიშნავს საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარება? (მე-2 გვერდი).
საქართველოს სსრ სკოლების მასწავლებელთა დაჯილდოება (მე-2 გვერდი).
პოდპოლკოვნიკი ი. შიპილოვი — ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში პირველი თვითმფრინავის სამშობლოა (მე-2 გვერდი).
დიდ ჯილდოს სასწავლო-საცდელ მეურნეობებს (მე-2 გვერდი).
ჯოგებებით ვუპასუხოთ! (მე-2 გვერდი).
საუკეთესო თანამდებობის ქართულ საბჭოთა პიესაზე ჩატარებული დასტურული კონკურსის შედეგები (მე-3 გვერდი).
პ. შაორშაძე — დედისა და ბავშვის ინტერესთა სადარაჯოზე (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

მზრუნველობით ვზარდოთ პროპაგანდისტთა კადრები

ბოლშევიკური პარტია გვასწავლის, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით კადრების აღზრდა თვითეული პარტორგანიზაციის მუდმივი და უმნიშვნელოვანესი საზრუნავი უნდა იყოს. ომის წლებში და ომისშემდგომ დროს საკავშირო კ. პ. (ბ) რიგების სწრაფმა ზრდამ გადაჭრით მოითხოვა კომუნისტთა პოლიტიკური განათლების გაძლიერება.

მიმდინარე წელს პოლიტიკური სწავლის ორგანიზაცია მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მნიშვნელოვნად გადიდდა საკავშირო კ. პ. (ბ) წევრთა და კანდიდატთა რიცხვი, რომლებიც მარქსისტულ-ლენინურ თეორიას სწავლობენ. გაფართოდა პარტიული განათლების ქსელი. ამ უკანასკნელ დროს ბევრ ადგილას ჩატარებულმა საანგარიშო-საარჩევნო პარტიულმა კრებებმა, კონფერენციებმა და ყრილობებმა დიდი ყურადღება დაუთმეს პარტიული პროპაგანდის საკითხებს. ყველგან აღინიშნა, რომ საჭიროა წარმატებით გადაიჭრას მთავარი ამოცანა — პოლიტიკური სწავლის მაღალი იდეური დონის უზრუნველყოფა, რაც უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია პროპაგანდისტთა შემადგენლობაზე, მათს კვალიფიკაციაზე. აქედან პირველი რიგის მოთხოვნა: გულდასმით მიეუდგეთ პროპაგანდისტთა შერჩევას, პარტიული პროპაგანდის პასუხსაგები საქმე დაეკისროთ მხოლოდ და მხოლოდ ყველაზე მომზადებულ, ყველაზე უნარიან ამხანაგებს, ყოველდღიურად ვიმუშაოთ პროპაგანდისტთა კადრებთან, მზრუნველობით ვზარდოთ ისინი!

ბოლშევიკი პროპაგანდისტები ჩვენი პარტიის ოქროს ფონდს შეადგენენ. ისინი ასრულებენ უადრესად პასუხსაგებ პარტიულ საქმეს — აიარაღებენ საბჭოთა ადამიანებს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით, საზოგადოებრივი განვითარების კანონების ცოდნით, ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკის მეცნიერული საფუძვლების გაგებით. ბოლშევიკ პროპაგანდისტთა ცოცხალი სიტყვა ყოველთვის ახდენდა მასებზე მძლავრ გავლენას. და პროპაგანდისტებს უფლება აქვთ იმედი იქონიონ პარტორგანიზაციების მხრივ მათდამი გულისხმიერი დამოკიდებულებისა, მათი სულიერი მოთხოვნების ყოველმხრივ დაკმაყოფილებისა.

პარტიულ კომიტეტებს დიდი შესაძლებლობანი მოეპოვებათ, რომ პროპაგანდისტებისათვის კვალიფიციური დახმარება მოაწყონ. მათს განკარგულებაშია უაღრესად მრავალნაირი საშუალებანი და ძალები: პრესა, რადიო, პარტკაბინეტები, ფართო აქტივი.

პროპაგანდისტთა ზრდაზე აქტიური გავლენა უნდა მოახდინოს სემინარულმა მეცადინეობამ. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი მეცადინეობა ყველგან როდი ეწყობა რეგულარულად, ამასთან მას ხშირად ცვლიან დაბალი კვალიფიკაციის ლექციების კითხვით.

— ჩვენ ჰაერივით გვჭირდება აზრთა გაზიარება მეცადინეობის მეთოდიკაზე, გასაუბრების ფორმებზე, გვჭირდება მოწინავე გამოცდილების გაზიარება,— აპბობს ლენინგრადის ერთ-ერთი ქარხნის პროპაგანდისტი აბ. კოროლიოვა. — სამწუხაროდ, ლენინგრადის საქალაქო კომიტეტთან არსებული სემინარის მეცადინეობაზე ხშირად არც ერთი და არც მეორე.

დაბალ დონეზე ეწყობა სემინარები ზოგიერთ სხვა პარტორგანიზაციაშიც.

მეთოდური დახმარების უქონლობისის მოსდევს, რომ ზოგიერთი პროპაგანდისტი გატაცებულია კითხვა-პასუხის მეთოდით, რაც წარმოშობს სკოლურობას, გაზეპირებას, რომელიც შშრალს ხდის მეცადინეობას წრეებსა და პოლიტსკოლებში. ხშირად ცოცხალ საუბარს, ამხანაგურ დისკუსიას ცვლიან სახელმძღვანელოების ხმამაღალი კითხვით. პროპაგანდისტები, რომლებიც საკუთარ წვნეში იხარშებიან და საკმაო გამოცდილება არა აქვთ, დახმარების უქონლობის დროს აუცილებლად ადგებიან სწავლის ფორმალურ-სკოლური მეთოდების გზას, რასაც საქმისათვის დიდი ზიანი მოაქვს.

ამ უკანასკნელ დროს „იაროსლავლის საოლქო პარტორგანიზაციაში პარტიული განათლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელშიც მხილებულია პროპაგანდის დაყენების ნაკლოვანებანი, რაც ტიპიურია მრავალი პარტორგანიზაციისათვის, პარტიულმა კომიტეტებმა რამდენადმე გაუმჯობესეს პროპაგანდისტებთან მუშაობა. ყურადღების ღირსია საკავშირო კ. პ. (ბ) კურსკის ოქსის ნოვი ოსკოლის რაიკომის პარტიული ბიბლიოტეკის გამოცდილება. ამ ნამდვილ ზრუნვას იჩენენ პროპაგანდისტების მიმართ. სემინარები გულდასმით მზადდება. პარტკაბინეტის ძუშაკები ცდილობენ ჩატაროს ისეთი ეოცოსლად, წარჩტაცად, ნაყოფიერად. თვით პროპაგანდისტთა გამოცდილება გაზიარებასთან ერთად, მათ რეგულარულად უკითხავენ ლექციებს მეთოდურ საკითხებზე. ბუნებრივია, რომ პროპაგანდისტები დიდ ინტერესს იჩენენ სემინარებისადმი, ეოცსალ, შემოქმედებითს მონაწილეობას იღებენ მათში.

მაგრამ პროპაგანდისტებისათვის დახმარება ამით არ უნდა ამოიწუროს. პარტიულ კაბინეტში მათ განკარგულებაშია ყოველგვარი ხელსაწყო: ქრონოლოგიური ტაბულები საცნობარო მასალით საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობებისა და კონფერენციების შესახებ, ჩვენი სამშობლოს ისტორიის შესახებ, ლექციების ტექსტები, ყველაზე კარგი კონსპექტები, წრეებისა და პოლიტსკოლების სასწავლო გეგმები და პროგრამები, მარქსისტულ-ლენინური თეორიის ცალკეული საკითხებზე ლიტერატურის კარტოთეკა, ადგილობრივი მასალა ნოვი ოსკოლის რაიონის ისტორიიდან. ფართოდ ხდება წიგნების პოპულარიზაცია მხატვრული პლაკატებით, ბიბლიოგრაფიული და კრიტიკული სტატიების შემცველი ალბომებით. ერთი სიტყვით, აქ ყველაფერია, რითაც შეიძლება დაეხმაროთ პროპაგანდისტს, რომ მეცადინეობა შინაარსიანად და მაღალ იდეურ დონეზე მოაწყოს.

ის, რასაც ნოვი ოსკოლის პარტიული კაბინეტი აკეთებს, ხელმისაწვდომია თვითეული პარტორგანიზაციისათვის. და სწორად მოიქცა საკავშირო კ. პ. (ბ) კურსკის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება, რომელმაც ნოვი ოსკოლის რაიონში მოაწყო პარტკაბინეტების გამგეთა სპეციალური სემინარი. პარტიული პროპაგანდის გამოცდილების განზოგადება და გავრცელება პროპაგანდისტთა კადრებისადმი დახმარების ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი სახეა და ამ საქმეს რაც შეიძლება მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

მასების პოლიტიკური განათლება უბრალო და იოლი სამუშაო როდია. ცხოვრება მაღალ მოთხოვნებს უყენებს პროპაგანდისტებს. მასებს სურთ პროპაგანდისტებში დაინახონ ჩვენი დროის მოწინავე ადამიანები, ფართო ჰორიზონტის, პოლიტიკურად გათვითცნობიერებული ადამიანები. რაც უფრო ფართო და მრავალმხრივია პროპაგანდისტთა ცოდნა, მით უფრო მეტია ნდობა და პატივისცემა მათდამი, მით უფრო საფუძვლიანია თვითეული მათი სიტყვა. და ეი ამიტომ, სემინარული მეცადინეობის ხარისხის, პარტიული კაბინეტების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვასთან ერთად, პარტიული კომიტეტები მოვალენი არიან რეგულარულად შეკრიბონ სკოლების, წრეების ხელმძღვანელები და კონსულტანტები და გაიცნონ მათ პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი, სსრ კავშირის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობა, რაიონის, ქალაქის, ოლქის ან მხარის მორიგი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანები, აგრეთვე მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურის, ხელოვნების აქტუალური საკითხები.

თავის მხრივ პროპაგანდისტთა კადრები უნდა გაიმსჭვალონ თავიანთი მუშაობისათვის მეტი პასუხისმგებლობით. არა არის რა იმაზე კეთილშობილური, ვიდრე იყო ბოლშევიკური პარტიის პროპაგანდისტი, შეაიარაღო ჩვენი ადამიანები ლენინ-სტალინის დიდი მოძღვრებით. ეს ავალებს თვითეულს, ვისაც ეს ესოდენ საპატიო საქმე აქვს მინდობილი, აიმაღლოს და გაიმდიდროს ცოდნა, იმუშაოს გატაცებით, სული და გული ჩააქსოვოს თავის შრომაში, ჰქონდეს მგზნებარე სურვილი რომ დაეხმაროს ყველა დარგის ჩვენს კადრებს — დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას.

„აქედან ოდენ უნდა მივიჩნიოთ,—გვასწავლის ამხანაგი სტალინი,—რომ, რაც უფრო მაღალია სახელმწიფოებრივი და პარტიული მუშაობის რომელიც გნებავთ დარგის მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მაღალი და ნაყოფიერია თვით მუშაობა, მით უფრო ეფექტიანია მუშაობის შედეგები...“.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ჩვენი მუშაობის კომპასია. პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან განუწყვეტლივ გააუმჯობესონ მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის ხარისხი, რათა ჩვენი კადრები სრულყოფილად ფლობდნენ ამ კომპასს, რომელიც გვეხმარება კომუნიზმისაკენ წარმატებით წინსვლაში.

„პრავდის“ 19/III მოწინავე

ნ. მ. შვერნიკმა მიიღო ბულგარეთის ელჩი ბ-ნი ნ. ნიკოლოვი

18 მარტს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბ-ნმა ნ. ნიკოლოვმა ინახულა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. შვერნიკი და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო კრების პრეზიდიუმის სახელით გადასცა მილოცვა საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების პირველი წლისთავის გამო.

(საკდესი).

თბილისის ბასოფლო-სამეურნეო ფარალმანქანების ქარხანა. სურათზე: პროფესიათა მიხედვით სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურებული ხარატები ა. რობაკიძე, ი. რეფამაძე და ხ. ბუთეტ.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

შეჯიბრებაში გამარჯვებული საამქრო

ქუთაისი. (საკ. კორ.). საავტომობილო ქარხანაში თერმული საამქროა მოქმედებს. ამ საამქროს ბრიგადა ოსტატ ალ. ბეგიშვილის ხელმძღვანელობით ბრძოლაშია ბრიგადათა შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში. ბრიგადა ბრძოლაშია ბრიგადა ბ. ბეგიშვილის ბრიგადა ბ. ბეგიშვილის ბრიგადა ბ. ბეგიშვილის

კონსულტაცია

რას ნიშნავს საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარება?

მიმდინარე წლის დასაწყისი აღინიშნა მოსკოვის ძოწეულობის მუშაკთა ახალი პატრიოტული ინიციატივით. მოსკოვის და მისი ოლქის 103 მოწინავე საწარმოს მუშაკებმა ხალხთა ბელადს დიდ სტალინს აღუთქვეს, რომ წელს საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარების შედეგად სახელმწიფოს გაუთავისუფლებენ 400 მილიონ მანეთს სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე გამოსაყენებლად.

რაში მდგომარეობს საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარების შინაარსი და მნიშვნელობა?

ყოველ საწარმოს აქვს განსაზღვრული საწარმოო-საფინანსო გეგმა. საწარმოს მიცემული აქვს გეგმის შესასრულებლად საჭირო საბრუნავი საშუალებანი. ეს თანხა საწარმოში სხვადასხვა სახით არის წარმოდგენილი. გეგმის შესასრულებლად და გათვალისწინებული პროდუქციის გამოსაშვებად საწარმოს სპირდება ნედლეულის, დამხმარე მასალებისა და სათბობის მარაგი.

როცა საწარმო ამ მასალებისა და სათბობის დასაგროვებლად გარკვეულ თანხას ამანდებს, ეს არის საწარმოს საბრუნავ საშუალებათა წრებრუნვის პირველი სტადია.

შემდეგ ნედლეული და დამხმარე მასალები გადაეცემა წარმოებას (საამქროებს), სადაც ის უხდება გადამუშავდეს. ამ უკვე (წარმოების პროცესში) საბრუნავი საშუალებები გვევლინება დაბარაჯული მასალების ღირებულების, მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა ხელფასისა და სხვადასხვა ზედნადები ხარჯების სახით, რომელთა სამაგიერო პროდუქცია ჯერ არ მიგვიღია. ეს არის სამრეწველო საწარმოს საბრუნავ საშუალებათა წრებრუნვის მეორე სტადია.

ბოლოს წარმოებიდან მიეიღება მზა პროდუქციას. აქედან იწყება წარმოების საბრუნავ საშუალებათა წრებრუნვის მესამე სტადია. ამ სტადიაში საბრუნავი საშუალებები გვევლინება მზა პროდუქციისა, მყიდველებისათვის გადაგზავნილი საქონლისა, ღებტორობის დავალიანებისა და საქონლის რეალიზაციიდან მიღებული ნაღდი ფულის სახით. მესამე სტადიის დამთავრებით სრულდება ერთი ციკლი, საბრუნავ საშუალებათა ერთი ბრუნვა. ყოველ მოცემულ მომენტში ნორმალურად მოძუმშავე საწარმოს აქვს სამი სტადიის საბრუნავი საშუალებანი, ე. ი. საწყობში აქვს აუცილებლად საჭირო ნედლეულის, დამხმარე მასალებისა და სათბობის მარაგი, რაც მას გარკვეული თანხა დაუჯდა, აქვს საამქროებში ნახევარფაბრიკატები და აქვს სარეალიზაციოდ გამზადებული მზა პროდუქცია. ყველა მათი ფულადი ღირებულება შეადგენს საწარმოს გაკარგულებაში არსებულ საბრუნავ საშუალებათა მეელ თანხას.

საბრუნავ საშუალებათა წრებრუნვის სამივე სტადიისთვის საჭიროა გარკვეული დრო. რამდენადაც მცირეა ეს დრო და, მაშასადამე, რამდენადაც ჩქარა ხდება გადასვლა ერთი სტადიიდან მეორე სტადიაში, იმდენად უფრო მეტ მზა პროდუქციას იძლევა საწარმო, იმდენად უფრო მეტი პროდუქცია მოდის საბრუნავ საშუალებათა თვითეულ მანეთზე. ხოლო რამდენადაც იზრდება პროდუქციის რაოდენობა საბრუნავ საშუალებათა ერთ მანეთზე, იმდენად იზრდება და ძლიერდება სოციალისტური სახალხო მეურნეობა, მტკიცდება საბჭოთა მანეთის კურსი, უმკობესდება მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობა.

სოციალისტური მეურნეობის პირობებში ყველა პირობა გვაქვს შეუნელებლივ ვზრდოთ შრომის ნაყოფიერება, შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება, ხოლო ეს თავის მხრივ დაიჩქარებს სამეურნეო საშუალებათა ბრუნვას და შექმნის წარმოებისათვის საჭირო საბრუნავ თანხათა შემცირების საშუალებას. საჭიროა ყოველ ქარხანაში, ფაბრიკაში, საამქროში და სამუშაო ადგილზე ისე მოეაწყოთ მუშაობა, რომ ნედლეული, დამხმარე მასალა და სათბობი უაღრესი მომჭირნეობით იხარჯებოდეს, რომ თვითეული კაპიკის დახარჯვას პასუხისმგებლობის გრძნობით მოვეკიდოთ. ამოცანა ის არის—რაც შეიძლება ნაკლები ხარჯის გაწევის შედეგად მივიღოთ მეტი რაოდენობისა და უკეთესი ხარისხის პროდუქცია.

ავიღოთ ასეთი მაგალითი: ვთქვათ საწარმოს 1948 წელს უხდა გამოეშვა 296 მილიონი მანეთის მზა პროდუქცია და საამისოდ მას საბრუნავ თანხად მიეცმული ჰქონდა 122 მილიონი მანეთი. საბრუნავი თანხის მიმოქცევის დრო ამ შემთხვევაში უდრის 148 დღეს, ხოლო საბრუნავი თანხის თვითეული მანეთის მიხედვით გეგმის თანახმად მიიღებულ უხდა იქნას 2 მანეთისა და 43 კაპიკის მზა პროდუქცია. ფაქტიურად კი, ვთქვათ საწარმომ მოგვცა არა 296 მილიონი მანეთის, არამედ 376 მილიონი მანეთის პროდუქცია. ეს ნიშნავს, რომ მან საბრუნავი თანხის მიმოქცევის ვადა შეამცირა 116 დღემდე, ხოლო თვითეული მანეთის მიხედვით მოგვცა 3 მანეთისა და 8 კაპიკის მზა პროდუქცია, ე. ი. მიმოქცევის ვადა, ამ შემთხვევაში შემცირებულია 52 დღით, ანუ 35 პროცენტით.

როგორ და რა საშუალებებით შეიძლება დაეჩქაროთ საბრუნავ თანხათა ბრუნვა?

როგორც აღვნიშნეთ, სამეურნეო საშუალებათა წრებრუნვის პირველ სტადიაში საქმე გვაქვს ნედლეულისა, დამხმარე მასალებისა და სათბობის მარაგთან. ყოველ საწარმოს ეძლევა გარკვეული ნორმები, თუ რა როდენობით უნდა ექნეს მას მომარაგებული ყველა ეს მასალა. საჭიროა დაეცვათ ეს ნორმები, ნედლეულისა და დამხმარე მასალების, აგრეთვე სათბობის ნორმატივები, არაგვითარ შემთხვევაში არ გავადიდოთ მათი ნაშთი, კიბაიდან ნაშთის ზრდა აშცირებს საბრუნავი თანხის ბრუნვას. პირიქით, ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ნაშთები მინიმუმამდე შევამციროთ. მეურნეობის სოციალისტური სისტემის პირობებში ნედლეული და მასალები გეგმიანად ნაწილდება საწარმოებს შორის და საწყობებში დიდი ნაშთების გაჩერება მიზანშეუწონელია. ზოგ საწარმოში არ არის მოწესრიგებული ნედლეულის მომარაგების საქმე. ხშირად ნედლეულში, დამხმარე მასალესა და სათბობში საგრძნობლად დიდ თანხას ანაწევრებენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ მასალების ფასი სახელმწიფოს მიერ გეგმიანადაა განსაზღვრული, ზოგჯერ საწარმოში მოტანილი მასალა გაცილებით მეტი უჯდებათ (გადამზიდვის ხარჯების გადიდების შედეგად). ყოველივე ეს იწვევს მზა პროდუქციის თვითღირებულების გადიდებას, ე. ი. უძნელებს საწარმოს კოლექტივს საბრუნავი თანხის თვითეულ მანეთზე მოგვცეს გეგმით გათვალისწინებული და მეტი პროდუქცია. ამიტომ არის, რომ მომარაგების საქმის კარგად დაყენება, მომმარაგებელთა კარგი მუშაობა საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარების ერთ-ერთი სერიოზული პირობაა.

საბრუნავ თანხათა წრებრუნვის მეორე სტადია, როგორც ითქვა, საწარმოში მიმდინარეობს. ეს არის თვითონ საწარმოო პროცესი. რამდენადაც წარმოების პროცესი მეტ დროს მოიცავს, იმდენად გვიანდება მზა პროდუქციის გამოშვება და, მაშასადამე, გვიანდება თანხა ბრუნვაც და პირიქით. ძნა პროდუქციის გამოშვების სისწრაფე დამოკიდებულია მთელი რიგი ტექნოლოგიური პროცესების მოწყობაზე, მათს გაუჯობესებაზე. პროდუქციის გამოშვების დაჩქარების ერთ-ეოთი საშუალებაა, მაგალითად, ნაკადური მეთოდით მუშაობა. მაშასადამე, წარმოების ნაკადურ მეთოდზე გადასვლა აადვილებს პროდუქციის გამოშვებას და იწვევს საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარებას.

წარმოების პროცესში ხშირია სხვადასხვა დეტალებისა და ნახევარფაბრიკატების დროულად გამოუყენებლობის შემთხვევები. ზოგჯერ ეს დეტალები „ჩაწოლილია“ საწარმოს საწყობში. ეს კი ნიშნავს საბრუნავი თანხის გარკვეული ნაწილის ერთ ადგილზე გაყინვას, ე. ი. ბრუნვის შეფერხებას. საჭიროა წარმოებაში ისე ავაწყოთ მუშაობა, რომ დეტალები და ნახევარფაბრიკატები არსად „იყინებოდეს“, არსად ჩერდებოდეს, ნაკადიკით გადადიოდეს ერთი საამქროდან მეორეში, სანამ მზა პროდუქციის შემადგენელ ნაწილად არ მოგვეელინება.

საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას, წარმოებაში საბჭოთა ტექნიკის ახალი მიღწევების დანერგვას. საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი ამხანაგი კ. ჩარკვიანი თავის მოხსენებაში საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე აღნიშნავდა შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დიდ მნიშვნელობას. მექანიზაცია აადიდებს თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერებას, ე. ი. აადვილებს პროდუქციის გამოშვებას და ხელს უწყობს საბრუნავ თანხათა ბრუნვის დაჩქარებას.

ჩვენ მრავალი შესაძლებლობა მოგვეპოვება იძისათვის, რომ მზა პროდუქციის გამოშვების პროცესი დავაჩქაროთ. შრომის რაციონალური ორგანიზაცია, გაუჯობესებული ხელსაწყო-სამარჯველის გამოყენება, ნედლეულისა და დამხმარე მასალების დროულად მომარაგება, სამუშაო დროის შეჭიდროება, ელექტრომეურნეობის წესრიგზე მოყვანა,—ყოველივე ეს ხელს უწყობს წარმოების პროცესის დაჩქარებას, მაშასადამე, თანხათა ბრუნვის დაჩქარებას.

საბრუნავ თანხათა ბრუნვის მესამე სტადია შეიცავს მზა პროდუქციის რეალიზაციას და ფულადი სახსრების მიღებას. სოციალისტური მეურნეობის დროს დამზადებული პროდუქციის რეალიზაცია გეგმით არის უზრუნველყოფილი. ჩვენში შეუძლებელია კრიზისები. მაგრამ ჩვენს პირობებში შეიძლება მოხდეს ისე, რომ მზა პროდუქცია დიდხანს გაჩერდეს საწყობში. თუ ტექნოლოგიური აუცილებლობით არ არის გამოწვეული, პროდუქცია საწყობში, დიდხანს არ უნდა გავაჩერთო და დავაჩქაროთ მისი რეალიზაცია. ეს ნიშნავს წარმოების ციკლის შემცირებას. წარმოების ციკლი კი ამ დროს მოიცავს, რომელიც საჭიროა ნედლეულის მოსამარაგებლად, გადასამუშავებლად და მზა პროდუქციის გამოსაშვებად.

საბრუნავ თანხათა ბრუნვის დაჩქარება ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულების ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა. ეჭვი არ არის საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკები ამ მიმართულებითაც გვიჩვენებენ საოცეთესო მუშაობის ნიმუშს და საბრუნავ თანხათა ბრუნვის დაჩქარებით სახელმწიფოს ეაუთავისუფლებენ ათეულ მილიონებს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს კიდევ უფრო ვასაძლიერებლად.

პროფესორი ა. ინწკირველი

ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში პირველი თვითმფრინავის სამშობლოა

პირველი საჰაერო ბურთის, სამართავი აეროსტატის ჰელიკოპტერის, ფრანის, აეროდინამიკის საფუძვლების, რეაქტიული მოძრაობის თეორიის, რეაქტიული თვითმფრინავით უძაღლესი პილოტაჟის პრინციპების სამშობლო ჩვენი ქვეყანაა.

მსოფლიოში პირველი თვითმფრინავეკი რუსეთში შეიქმნა. მისი შემქმნელი იყო რუსი საზღვაო ოფიცერი პირველი რანგის კაპიტანი ა. ფ. მოჟაისკი.

ალექსანდრე თეოდორეს-ძე მოჟაისკი დაიბადა 124 წლის წინათ 1825 წლის 21 მარტს. როგორც ეს ძველ მეზღვაურთა ოჯახებში იყო ძიღებული, იგი ცხრა წლისა მიაბარეს პეტერბურგის საზღვაო კადეტთა კორპუსში. 1841 წლის იანვარში ალექსანდრე მოჟაისკიმ წარჩინებით დაამთავრა კურსი და ჩაირიცხა ბალტიის საზღვაო ფლოტის სამსახურში გარდემარინად.

ერთი წლის შემდეგ იგი მიჩმანი გახდა და დანიშნეს ფლოტის მე-17 ეკიპაჟში. იგი ცურავს ბალტიის ზღვაში ფრეგატებზე „მელპომენა“, „ოლღა“, „ალექსანდრე ნეველი“. უფრო გვიან შუნინი „რაფეგა“ მოჟაისკი მოგზაურობდა პოლარულ წყლებში.

იგი დაუღალავი, ამტანი და გულადი ადამიანი იყო. იგი უყვარდათ მატროსებსა და ოფიცრებს. იგი უჩვენებდა სამსახურისადმი ბეჯითი დამოკიდებულების მაგალითს და განცვიფრებას იწვევდა თავისი უნარით—ეუმუშავნა ყოველგვარ პირობებში. ახალგაზრდა ოფიცერი გულმოდგინედ სწავლობდა გემთმშენებლობას, მათემატიკას, ფიზიკას, ქიმიას, გატაცებული იყო ფერწერით, იგონებდა სხვადასხვა ხელსაწყოს და დაკონებით ფიქრობდა სწრაფმავალი საზღვაო ხომალდების შექმნის საკითხებზე.

უკვე ფლოტის ლეიტენანტად ყოფნისას ალექსანდრე მოჟაისკიმ ფრეგატ „დიანათი“ განაზორციელა შორეული ცურვა. ფრეგატმა მარცხი განიცადა. მაშინ ამ ხან ბზენი, რომლითაც დაბრუნდა იაპონიის შორეულ ბუხტ სიმოდოდან „დიანას“ ეკიპაჟის რუს მეზღვაურთა ნაწილთან ერთად. შემდეგ მოჟაისკი მაახურობდა უფროს ოფიცრად გემ „ორიონზე“, მეთაურობდა გემ „პეტროვსკის“. ამის შემდეგ იგი ხელმძღვანელობდა პირველი ხარხნიანი კლიპერის „ვსადნიკის“ აგებას, ცდიდა, ხოლო შემდეგ მეთაურობდა მას.

სწავლობდა რა გემთმშენებლობის საქმეს, იძენდა რა გამოცდილებას, გულდასმით აკვირდებოდა რა იალქნებსა და ფრინველის ფრენას, მოჟაისკიმ განიზრახა ისეთი ხომალდის აგება, რომელიც ჰაერში იფრენდა. იგი იწყებს თავის შესანიშნავ გამოკვლევებს ფრინველთა ფრენის დარგში, ცდებს ფრანოთა და აეროპლანის მოდელებით.

მალე იგი გადაიყვანეს სამსახწავლელო სამუშაოზე პეტერბურგის საზღვაო კადეტთა კორპუსში. ჩინებული განათლებისა და საზღვაო გემების მშენებლობის გამოცდილების მქონე მოჟაისკიმ თავისი ცხოვრების ოცი წელიწადი მოახმარა ჰაერზე უფრო მძიმე საფრენი აპარატის შექმნის პრობლემას. მან პირველმა ყველა გამომგონებელთა შორის, მეცნიერულად დასაბუთა ასეთი აპარატებით ფრენის შესაძლებლობა, აღმოაჩინა ელემენტარული აეროდინამიკის კანონები, ააგო ფრანი და თვითონ აფრინდა მით, შექმნა და გამოსცადა აეროპლანის მფრინავი მოდელები. იმ დროს საზღვარგარეთ მიღწეული არ ყოფილა ამ დარგში რაიმე სერიოზული შედეგი.

მოჟაისკი იკვლევს ფრინველის ფრთის ფორმას. იგი მრავალ ცდას ატარებს ბრტყელ და მოხრილ ფრთებზე, რის შედეგადაც მიდის უმნიშვნელოვანეს აღმოჩენებამდე ფრთის აეროდინამიკის დარგში. მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიაში პირველად სწორედ რუსმა გამომგონებელმა დაამუშავა ფრთის დამახასიათებელი განაგარიშებანი, სწორედ ის განაგარიშებანი, რომლებიც გამოხატავენ დამოკიდებულებას ამწევ ძალასა და შეტევის სხვადასხვა კუთხის დროს პირდაპირ წინააღმდეგობის შორის. ალექსანდრე თეოდორეს-ძე მოჟაისკიმ ეს აღმოაჩინა ვერმანელ მკვლევარ ოტო ლილიენტალზე 17 წლით ადრე.

მოჟაისკის შემოქმედებითს საქმიანობაში გადამწყვეტ თარიღად, რამაც მას აეიაციისა და ფრენის დარგში ერთ-ერთი გამორჩენილი მეცნიერის სახელი მოუპოვა. უნდა ჩაითვალოს 1876 წელი, როცა ორიგინალური კონსტრუქციის ფრანის შექმნით და მასზე ფრენით მან მიიქცია მეცნიერული საზოგადოებრიობის ფართო წრეების ყურადღება. მსოფლიოში პირველად შეძლო ადამიანმა ასულიყო ჰაერში ფრანით — თანამედროვე პლანერის პროტოტიპით. და ეს ადამიანი იყო რუსი გამომგონებელი. ამგვარი ცდები გაიმეორა საფრანგეთში მაიომ ათი წლით უფრო გვიან—1886 წელს და ინგლისში — ბადენ-პოუელსმა 1888 წელს.

მოჟაისკიმ ააგო ფრანი და ორჯერ აფრინდა ჰაერში, გამოსახა გამოსავალი მონაცემები ჰაერზე უფრო მძიმე საფრენი აპარატის შესაქმნელად, განსაზღვრა საფრენი აპარატის ზეფაპირის ზომები, რომლებიც საკმარისია, რომ ჰაერში აიყვანოს ადამიანი.

ალექსანდრე თეოდორეს-ძე იყო დიდი და ორიგინალური მკვლევარი, ფხიზელი და გამჭრიახი გონებისა და ურყევი ნებისყოფის ადამიანი. მისი ცდებისა და ექსპერიმენტების მსგავსი რამ არ ყოფილა არა მარტო იმ დროს, არამედ მრავალი წლის შემდეგაც.

მოჟაისკის მრავალი წლის კვლევის დაგვირგვინება იყო მის მიერ შემუშავებული პროექტი და აგება აეროპლანისა. გამოგონებული აეროპლანის პატენტი მან მიიღო 1881 წლის 15 (3) ნოემბერს. მოჟაისკის შრომები ახალი ფურცელი იყო მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიაში.

მიუხედავად მოჟაისკის შრომებისადმი მთავრობის მხრივ ჩინოვნიკური დამოკიდებულებისა და მეფის კარის გარშემო მყოფ უცხოელთა საზიზღარი ხრიკებისა, ამ შესანიშნავი ადამიანის სულის სიდიადემ და ნიჭმა გაიმარჯვეს. მან ააგო და ფრენაში გამოსცადა ოთოფლიერში პირველი აეროპლანი. 1882 წლის 1 აგვისტოს (20 ივლისს) კრასნოე სელოში, პეტერბურგის მახლობლად, სამხედრო მოედანზე, მექანიკოსი ივანე ნიკიფორეს-ძე გოლუბევი ჰაერში აფრინდა პირველი რანგის კაპიტანის ალექსანდრე თეოდორეს-ძე მოჟაისკის კონსტრუქციით აგებული თვითმფრინავით. ასე შეიქმნა და წარმატებით იქნა გამოცდილი ისტორიაში პირველი აეროპლანი ფრენის დროს. ეს მოხდა ოც წელზე მეტი ხნით ადრე ამერიკელ ძმების რაიტების გაფრენამდე.

ამ ისტორიული მოვლენის შემდეგ მეფის მთავრობა იძულებული გახდა ეღიარებინა ნიჭიერი გამომგონებლის წარმატებანი და 6 დღის შემდეგ — 1882 წლის 7 აგვისტს (26 ივლისს) ა. თ. მოჟაისკიმ მიიღო გენერალ-მაიორის წოდება. რამდენიმე ხნის შემდეგ მას მიენიჭა კონტრ-ადმირალის „ალი წოდება.

თავისი თვითმფრინავის გამოცდის წარმატებით დამთავრების შემდეგ ა. თ. მოჟაისკიმ შეიმუშავა პროექტი აეროპლანისა უფრო გაუჯობესებული ძრავით, რომელიც გათვალისწინებული იყო ხანგრძლივი ფრენისათვის. იმ დროისათვის ორი მძლავრი ძრავი (50 ცხენის ძალისა) გამომგონებლის სამუშაო ნახაზებით დაამზადეს ბალტიის გემთმშენებელ ქარხანაში.

სამშობლოს ქვმშარიტი პატრიოტის მოჟაისკის განზრახვით ეს აეროპლანი უნდა მოხმარებოდა რუსეთის არმიის შეიარაღებას.

ეშინოდათ რა რუსეთის სამხედრო ძალიერების განმტკიცებისა, პეტერბურგში თავშეფარებული უცხოელთა ძრაველი დაზვერვის აგენტებმა, არც თუ მეფის გამყიდველი მოხელეების დაუხმარებლად, ყველაფერი გააკეთეს, რომ ხელი შეეშალათ რუსი გამომგონებლისთვის სამხედრო თვითმფრინავის აგებაში.

მეფის მთავრობის ოფიციალური ორგანოები უარს ეუბნებოდნენ მოჟაისკის დახმარებაზე. ხანგრძლივი მიმოწერა სხვადასხვა დაწესებულებასთან რამდენიმე წელს გრძელდებოდა. იმ დროისათვის სრულყოფილი სამხედრო აეროპლანის გულდასმით გაანგარიშებულმა პროექტმა, მისთვის აგებულმა ძრავებმა, გამომგონებლის დამაჯერებელმა ტექნიკურმა არგუმენტებმა, სახელმწიფოს ინტერესების უდავო მოსაზრებებმა, ვერაფერმა ვერ გაარღვია უცხოეთის დაზვერვათა აგენტების წაქეზებით მოქმედი მეფის სატრაპების მიერ აგებული კედელი.

1890 წლის 31 (19) მარტს მსოფლიოში პირველი თვითმფრინავის გამომგონებელი კონტრ-ადმირალი ალექსანდრე თეოდორეს-ძე მოჟაისკი გარდაიცვალა.

აეიაციის მამამთავრის ა. თ. მოჟაისკის ნაშრომები დიდი რუსი ხალხის ეროვნული სიამაყეს შეადგენენ.

პოდპოლკოვნიკი ი. შიპილოვი

დიდ ჯილდოს სასწავლო-საველმზრდელო მუშაობის გაუმჯობესებით ვუპასუხოთ!

დაპარაკობენ ორდენოსანი პედაგოგები

ლენინის ორდენოსანი მასწავლებლები: ნ. ფრანგიშვილი, ა. ფალავა, ვ. ვარდიაშვილი, ჭ. ზაალიშვილი და ო. თოფურიძე. ფოტო ვლ. გინზბურგისა

საამაყოა იყო საბჭოთა მასწავლებელი

არც ერთ ქვეყანაში მასწავლებელს ისე არ აფასებენ, როგორც ჩვენში, საბჭოთა ქვეყანაში. ეს იქიდანაც სჩანს, რომ მე, როგორც მასწავლებელს, ხალხმა ამირჩია მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, ვარ ჟურნალ „პიონერის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. მასწავლებელთა შორის დიდი შეფასების ერთ-ერთი მკაფიო გამოხატულებაა მათი დაჯილდოება ორდენებით და მედლებით. უსაზღვროდ მოხარული ვარ იმით, რომ საბჭოთა მთავრობამ ჩემ მიერ ოთხი ათეული წლის მანძილზე სახალხო განათლების დარგში გაწეული ამაგი დიდად შეაფასა და მეორედ დამაჯილდოვა უმაღლესი ჯილოთი — ლენინის ორდენით.

ეს მიორკეცებს ენერგიას, მაძლევს სტიმულს უფრო მეტი ენერგიით ვიმუშაო ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის.

ვარო ვარდიაშვილი

თბილისის ვაჟთა მე-7 საშუალო სკოლის მასწავლებელი

ჩემი სიხარული

გული ვერ იტევს სიხარულს. მთავრობამ ესოდენ დააფასა ჩემი 35 წლის პედაგოგიური მოღვაწეობა.

ბედნიერი ვარ, რომ საბჭოთა ხალხის დიდ და მრავალფეროვან საქმიანობაში მეც შემაქვს წელილი — ვემსახურები ნორჩი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეს.

ექვსი შვილი აღვზარდე, ყველანი კომუნისტები და კომკავშირელები არიან. მაგრამ მარტო ჩემი ექვსი შვილის დიდი ოჯიდი ვარ, მე სულიერი დიდი ვარ მოსწავლეთა იმ მრავალი თაობისა, რომელთაც ჩემს ხელში გაუვლიათ, რომელთათვისაც სკოლაში მისწავლებია.

პარტიისა და მთავრობის ზრუნვა, შშობლიური სტალინის მამობრივი გულისხმიერება კიდევ უფრო აღგვაფრთოვანებს ჩვენ, საბჭოთა მასწავლებლებს.

მაღალი ჯილდო — ლენინის ორდენი კიდევ უფრო მდიდარს და შინაარსიანს გახდის ჩემს პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ვერა ფრანგიშვილი-გეგენავა

ჭ. ცხაკაიას რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელი

მოვიკოვებთ ახალ წარმატებებს

საამაყოა ზრდიდე ახალ თაობას კომუნისტური სულისკვეთებით. პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ყოველგვარი პირობები შეუქმნა სახალხო მასწავლებელს ნაყოფიერი მუშაობისათვის. ამ ყურადღებისა და დახმარების შედეგად ჩვენს ქვეყანაში უმაგალითოდ ამაღლდა მასწავლებლის როლი.

მცირე ამაგი როდი მიუძღვის ჩვენს სკოლას მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეში. ჩვენი სკოლის პედაგოგიური კოლექტივი წლების მანძილზე დიდი სიყვარულით და მონდომებით ასრულებს თავის საპატიო მოვალეობას, აიაროდეს მოსწავლეს საფუძვლიანი ცოდნით, ნერგავს მათში სწავლისა და შრომისადმი სიყვარულს, საბჭოთა პატრიოტიზმს.

მასწავლებელთა ასეთი თავდადებული მუშაობით ჩვენმა სკოლამ შეძლო მოწაფეთა აკადემიური დონის ამაღლება, წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების გამომუშავება, სასკოლო დისციპლინის განმტკიცება. ამ წარმატებათა მოპოვებაში დიდი წვლილი მიუძღვით მხცოვან მასწავლებლებს: ნადია დადიანს, ნინო ნიკარაძეს, ნინო ბოცვაძეს, თამარ მაჩაბელს, ოლღა კალანდაძეს, ეოზეფინე გელოვანს და ქეთევან ზაალიშვილს, რომლებმაც თავიანთი ცხოვრების დიდი ნაწილი ახალგაზრდობის აღზრდას მიანდომეს და უანგარო, კეთილსინდისიერი შრომით მთავრობის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი დაიმსახურეს.

მთავრობის ეს საპატიო ჯილდო ახალი შრომითი საქმეებისათვის აღაფრთოვანებს ჩვენს მასწავლებლებს. ჩვენი სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ღირსეულად გაამართლოს მთავრობის უმაღლესი ჯილდო.

ანტონინა ფალავა

თბილისის ქალთა მე-5 საშუალო სკოლის მასწავლებელი

საქართველოს სსრ სკოლების მასწავლებელთა დაჯილდოება*

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრაკანგულებით ნამსახურობისა და უმფიკვლო მუშაობისა-თვის ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან:

ზითარიშვილი ალექსანდრე პავლეს-ძე, ზითარიშვილი ნინო ბეველარის ასული, ზოგაძე ლიუდმილა ილარიონის ასული, ზომერეი ქსენია პომპეიოს ასული, ზომერეი ხიდონია პომპეიოს ასული, ზონელიძე სამუელ ლავრენტის-ძე, ზორაზოვა მარიამ ივანეს ასული, ქრისტიანოვი კონსტანტინე სიმონის-ძე, ხუნდაძე მარიამ ნიკოლოზის ასული, ხუნდაძე ნინო ირაკლის ასული, ხუტაძე მელიტონ გრიგოლის-ძე, ხუსეინოვი ალექსანდრა კონსტანტინეს ასული, ხუფუა ვერა ლუკას ასული, ხუფუა მარიამ მიხეილის ასული, ცაბაძე ლიუდმილა ევგენის ასული, ცავა მაკსიმე ნიკოლოზის-ძე, ცაცარეიშვილი აგრაფინა ივანეს ასული, ცაცურიძე ალექსანდრა კონსტანტინეს ასული, ცაცანიდი ქრისტოფორე გიორგის-ძე, წვერავა ელენე ნიკოლოზის ასული, წვიმაძე ელისაბედ ალექსანდრეს ასული, ცერაძე ნინო იხიას ასული, წერეთელი ალექსანდრე მიხეილის-ძე, წერეთელი ვერა ოსიფის ასული, წერეთელი ეკატერინე ოსიფის ასული, წერეთელი ლუბა მიზარეულის ასული, ცერცვაძე ნინო სიმონის ასული, წოწორია ალექსანდრა სოფრომის-ძე, წოკაძაძე თამარ დმიტრის ასული, ცინცაძე კოტე მოსეს-ძე, ცინცაძე ოლღა სმირნოფის ასული, ცინცაძე სოლომონ იოანეს-ძე, ცისკარიშვილი გიორგი ივანეს-ძე, ფოფლანაძე ალექსანდრე გრიგოლის-ძე, ციცაგი სოფიო ესტატეს ასული, ციცეშვილი ნადეჟდა ილიას ასული, ციცეშვილი სოფიო ზაქარიას ასული, ციცქიშვილი ბესარიონ ბარიტონის-ძე, ციცქიშვილი ესაია ზაქარიას ასული, ცქვიტინაძე ფოცა პაველს-ძე, ფულეულიძე ნინო დიმიტრის ასული, ფულეულიძე პლატონ გიორგის-ძე, ფუშუნავა იასონ მაჭანმეს-ძე, ცხადაია ამბროსი გუსარის-ძე, ცხაკაია ამბაკო თეოდორეს-ძე, ცხაკაია კალისტრატე ნესტორის-ძე, ცხვირავაშვილი ვლადიმერ იოანეს-ძე, ცხოველიძე თომა ონისიმეს-ძე, ჩაქვეტაძე ასკალონ ეპიფანეს-ძე, ჭანტურაია გიორგი პავლეს-ძე, ჭანტურაძე მარიამ გერასიმეს ასული, ჭანტურია ალექსანდრე პაველს-ძე, ჭანტურია ელენე ანტონის ასული, ჭანტურია სოლომონ პაველს-ძე, ჩარკვიანი ელენე გრიგოლის ასული, ჭარხალაშვილი დავით ეკვთიმეს-ძე, ჩახნაშვილი ზინაიდა ლუკას ასული, ჩაჩავა აკვილინა გრიგოლის ასული, ჩაჩავა მინადორა სიმონის ასული, ჩაჩიბაია ვერა კონდრატეს ასული, ჩაჩიბაია ნიკოლოზ სამსონის-ძე, ჩაჩიბაია ქრისტინე ლუკას ასული, ჩადინსკაია ნატალია ივანეს ასული, ჭეიშვილი ოლღა მიხეილის ასული, ჭეიშვილი პაციკო ბათლომეს ასული, ჭელიძე გალინა მეთოდეს ასული, ჭელიძე მარიამ დმიტრის ასული, ჩიგოგიძე ირაკლი ოსიფის-ძე, ჩიგოგიძე მალაქია ალექსის-ძე, ჩიკვაიე გიორგი ნიკოლოზის-ძე, ჩიკვაიე მიხეილ ნიკოლოზის-ძე, ჩიქოვანი ილია დმიტრის-ძე, ჭიპაშვილი ირაკლი პოტიფელეს-ძე, ჩირგაძე პოლიკარპე დავითის-ძე, ჭითაკა ნესტორ პეტრეს-ძე, ჩიტაია მიხეილ ფარნაოზის-ძე, ჩიხლაძე ანა ივანეს ასული. ჩიხლაძე მარიამ ივანეს ასული, ჭიკანავა ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე, ჭიკანავა თამარ მიხეილის ასული, ჩიჩუა პანტელეიმონ ზინაბოს-ძე, ჭყონია ოთარ ალექსის-ძე, ჭყონია მარიამ ოსიბის ასული, ჩოგოვაძე ნიკიფორე ეფეს-ძე, ჩობანიძე ოლღა გერასიმეს ასული, ჩობანია პაპა ივანეს ასული, ჩიჩია ეკვანინა თეიმურაზის ასული, ჭრელაშვილი მარიამ ასლანის ასული, ბუბარია მელქისედეკ სამსონის-ძე, ბუმბაძე პაველ მაჭანმეს-ძე, ბუმბერიძე ანაბატასია სამსონის ასული, ბუმბერიძე ვლადიმერ ანტონის-ძე, ცეცხლაძე ანა ანტონის ასული, ჩხაიძე ეთერ ანა ანტონის ასული, ჩხაბარაშვილი ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე, ჩხეიდე ვლადიმერ ივანეს-ძე, ჩხეიდე ეკატერინე კონსტანტინეს ასული, ჩხეიდე მარიამ ილიას ასული, ჩხენკელი ნიკიფორე დმიტრის-ძე, ჩხეტია ალექსანდრე მიხეილის-ძე, შაბაზოვა ოლღა ემელიანეს ასული, შავიშვილი მარიამ ოქრომპირის ასული, შავდია ბარბალე ყარამანის ასული, შავდია ქეთევან ყარამანის ასული, შავერდოვა ელისაბედ ამირანის ასული, შადოვა ანტონინა ვიაჩესლავის ასული, შაყრილი პლატონ სიმონის-ძე, შამათავა ეკატერინე ბესარიონის ასული, შანავა პაველ ბესარიონის-ძე, შოფაქიძე ლუბა სიმონის ასული, შარანგია ანდრია დიტიან-ძე, შარია დმიტრი ბიდაჩის-ძე, შატბერაშვილი ლეონარდ სამსონის-ძე, შახტახტინსკაია ნაწილი ისა სულტანალიევი, შვანგირაძე ალექსანდრე თადეოზის-ძე, შევარდნაძე ამბროსი გიორგის-ძე, შელია ტროფიმე ივანეს-ძე, შენგელია ვარლამ ეფრემის-ძე, შენგელია ძაძე გიორგის ასული, შენგელია ნადეჟდა ალექსანდრეს ასული, შენგელია ოლღა ივანეს ასული, შერმადინი ნიკოლოზ გრიგოლის-ძე, შიმანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკეთესო თანამედროვე ქართულ საბჭოთა პიესაზე ჩაბარებული დახურული კონკურსის შედეგები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა სამმართველომ და საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა მოაწყვეს დახურული კონკურსი საუკეთესო თანამედროვე ქართულ საბჭოთა პიესაზე.

კონკურსი მიზნად ისახავდა დრამატული თეატრების რეპერტუარის გამდიდრებას ისეთი სრულფასოვანი პიესებით, რომლებიც სიმპოლოთი ასახავენ საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებას, მის წინსვლას, რომლებიც ხელს შეუწყობენ საბჭოთა ადამიანების ხასიათის საუკეთესო თვისებათა შემდგომ ზრდა-განვითარებას, საბჭოთა ხალხს, საბჭოთა ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას.

კონკურსი დახურული იყო. კონკურსში მონაწილე მწერალთა სია შედგენილი იყო მსურველთა განცხადებების განხილვის საფუძველზე ხელოვნების საქმეთა სამმართველოსა და საბჭოთა მწერლების კავშირის გამეობის პრეზიდიუმის მიერ. კონკურსში მონაწილე მწერალთა სია საბოლოოდ დაზუსტდა ეიურის პრიკულ და მეორე სხდომაზე და 34 მწერალს დაეგზავნა კონკურსში მონაწილეობისათვის მისაწვევი ბარათები,

საუკეთესო დრამატული ნაწარმოებისათვის, გარდა ჩვეულებრივი საგატორო ჰონორარისა, დაწესებული იყო ხუთი პრემია: ერთი პირველი პრემია — 25.000 მანეთი, ორი მეორე პრემია — თითო 20.000 მანეთი, ორი მესამე პრემია — თითო 15.000 მანეთი.

34 მწერლიდან, რომელნიც მოწვეულ იქნენ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, პიესები დეეზიით წარმოადგინა 27 მწერალმა. პიესების წარმოდგენის უკანასკნელ ვადად დაწესებული იყო 31 იანვარი. გარდა ერთისორი პიესისა, ყველა პიესა ეიურის მიღო დაწესებული ვადის უკანასკნელ დღეს.

1949 წლის 1 თებერვლიდან დაიწყო პიესების რეცენზირება და საბოლოოდ შერჩეულ იქნა ეიურის განსახილველად 10 პიესა: ეიურის თვითეული წევრი გაეცნო ეიურისათვის შერჩეულ ათივე პიესას და პრემიებისათვის კენჭისსაყრელად შეარჩია ხუთი პიესა. ეიურიმ გადაწყვეტა პირველი პრემია არ მიენიჭოს არც ერთ წარდგენილ პიესას. მეორე და მესამე პრემია მიეცა ხუთ პიესას, დასადგენელად რეკომენდებულ იქნა სამი პიესა.

კონკურსზე შემოსული პიესები ასახავენ კავკასიის გმირულ დაცვაში ამხანაგ ლ. პ. ბერიას როლს, საოლქთერენო ცხოვრებას, სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანთა შრომას (27 პიესიდან 19 კოლმეურნეთა ცხოვრების ამსახველია), მუშათა შრომას ომისშემდგომი ხუთწლედის შესასრულებლად, მოწინავე საბჭოთა აგრონომოლოგიური მეცნიერების წარმომადგენელთა შემოქმედებითს შრომას. დახურულ კონკურსზე შემოსული პიესების იდეურ-მხატვრული დონე გაცილებით მაღალია 1947 წელს ჩატარებულ ოთა კონკურსზე წარდგენილ პიესებთან შედარებით.

ᲘᲤᲐᲠᲘᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ

რომი, 17 მარტი. (საკელსი). მას შემდეგ, რაც მთავრობის მოთხოვნით დეპუტატთა პალატის უმრავლესობამ 16 მარტს ვეთან საღამოს უარყო წინადადება—გადადებულიყო დისკუსია იტალიის პაქტის პროექტის ტექსტის გამოქვეყნებამდე და დაადგინა კამთის შეწყვეტა, ოპოზიციის დეპუტატებმა, რეფლექტორს საფრანგეთ ნორმაზეზე დაყოფნებით, გაავეთეს განცხადებანი კენჭისყრის წინ თავისი პოზიციებს შესახებ. ეს გამოსვლები მთელ ღამეს გრძელდებოდა და ჯერაც არ დამთავრებულა.

ამ დეპეშის გამოგზავნის მომენტისათვის პალატის სხდომა უკვე 20 საათის განმავლობაში (დაწყებული 16 მარტის 16 საათიდან) პრაქტიკულად განუწყვეტლივ გრძელდებოდა. არ შეიძლებოდა ეიურის ეიურის დაწყება, რასაც მთავრობა ასკთი დაეინებით ცდილობს.

დისკუსიის დამთავრების შემდეგ სიტყვა მიეცათ დეპუტატებს, რომლებმაც რეზოლუციები წარადგინეს კენჭისსაყრელად. წარდგენილ რეზოლუციების გამო დისკუსიაში მონაწილეთ გამოვიდა ალალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის მდივანი და ვიტორიო.

ალალიის მშრომელთა სახელით მან განაცხადა, რომ მათი წარმომადგენლება დეპუტატთა პალატაში ხმას არ მისცემენ ალალიის პაქტს, რომელიც ომისა და ავრესის ბანალის წარმოადგენს. ამერიკის ხელმძღვანელ წრეებს,—თქვა მან,—ნამდვილად რომ სურდეთ მშვიდობა, მთა სრული შესაძლებლობა ექნებოდათ გაეძლიერებინათ ეკონომიკუნელი ერების ორგანიზაციაა. მათი ედა შემქნან განკერძოებული „ალალიის“ დაჯგუფება თავისთავად მოწმობს ამერიკის პოლიტიკის ავრესიულ ბუნებას და ვარაუდებს.

ორატორმა მიმართა თავისრობას და განაცხადა: თქვენ ვერ მოახერხებთ დაარწმუნოთ იტალიელ ხალხი, რომ სსრ კავშირი ემუქრება იტალიელ ხალხს დამოუკიდებლობასა და უშიშროებას. იტალიის მშრომელები მოითხოვენ, რომ თქვენ ხელი არ მოაწეროთ დანაშაულებრივ სამხედრო პაქტს. ისინი მოითხოვენ, რომ იტალიამ მშვიდობიანად იცხოვროს მსოფლიოს ყველა ხალხთან!

შემდეგ თავიანთი რეზოლუციების დასაცავად გამოვიდნენ დეპუტატები: გრიფონე — 2 მილიონი იტალიელი გლეხის სახელით, რომლებიც ორგანიზებული არიან „სამეზობლოებად ომის დეპუტატებში“; ბოლოდანი—სარტიზანთა სახელით, რომლებიც „იტალიელ პარტიზანთა ეროვნულ ასოციაციაში“ შედიან; ოლეგია — „იტალიელ ქალთა კავშირის“ წევრთა სახელით. ორატორებმა განაცხადეს, რომ იტალიელ გლეხები, პარტიზანები და ქალები ირსაოდეს არ დაუჯერენ მხარის ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამერიკელ იმპერიალისტთა ინტერესებისათვის და მონაწილეობას არ მიიღებენ ამ ანტიხალკურ ომში.

თავიანთ რეზოლუციები შეიტანეს აგრეთვე „ფედერალისტებმა“, რომლებიც ირწმუნებიდნენ, რომ ეეროპას „ერთიანობისაკენ“ მიმავალი გზა იტალიელის ჰაქტზე მდებარეობს, აგრეთვე მონარქისტთა ლიდერმა კო

იზიარის პარლამენტში

(დასასრული)

სამხედრო ბაზებია, იქ ომი ბუღდს. „ალეთია სიფათია ლოგიკა. ჩვენს ტეტერტორიაზე უცხოელთა სამხედრო ბაზების არსებობა მოასწავებს, გარდა ამისა, ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობის დასასრულის კონკურტელ დასაწყისს, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანაში ოქნებიან უცხოელთა შეიარაღებული ძალები, რომელთაც შეეძლებათ ხვალ ატალიის საშინაო საქმეებშიც ჩაერიონ და პროგოკაციები გამოიწვიონ კონფლიქტები სამოქალაქო მოსახლეობასთან.

მე მოვითხოვ, რომ არც ერთ უცხო მთავრობას არ მიეცეს უფლება რათქა სამხედრო ბაზა გამოიყენოს ჩვენს ნაციონალურ ტერტორიაზე!"

ოპოზიციის ყველა დეპუტატი უეზზე დგება და ტაშს უკრავს ტოლიანის. ქრისტიანი დემოკრატები შეადგენენ ფუმან

ნენის გავოსვლა

შემდეგ გამოსულმა პიეტრო ნენმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „გადაწყვეტილება, რის გამოტანასაც ამირეზს პარლამენტი, აკარწყლებს ახალი რეაზენალური ატალიის საგარეო პოლიტიკის საფუძვლებს და ბორკავს მას მონაზენიანა და ფაშიზმის ტრადიციებით". მთავრობა ტყუოდა, როცა პარლამენტს აინფორმებდა, თითქოს იგი ცდილობდა მისი ვიტეტი ინიციათივის მიეღო, რომ „დაეწყო მოლაპარაკება" ატლანტიკის პაქტის შესახებ მაშინ, როცა დეპუტატები მოწოდებული ირიან დადასტურონ ეს „მოლაპარაკება". პაქტის ტექსტი გამოქვეყნებულია. ეს ისმა ნიშნავს, განაცხადა ნენმ, რომ დე გასპერის მთავრობა, პარლამენტის სტრეიოლის წინააღმდეგ, დათანხმდა პირფაპარ დაფმორჩილოს ჩვენი ქვეყანა დასავლეთის ბლოკის სამხედრო ხელმძღვანელობას, მას შემდეგ, რაც უკვე დაფმორჩილა ამ ბლოკის ეკონომიურ და პოლიტიკურ ხელმძღვანელობას.

საგარეო საქმეთა მინისტრმა სფორცამ, განაგრძო ნენმ, თავისი საგარეო პოლიტიკა „თვალთმაქცობის მონუმენტად" გადაქცია. ორი დღის წინათ იგი ეარაფოდა, რომ ატლანტიკურ სიიდეფთო დოკუმენტები და დამატებითი ოქმები და ბაზების მიეცმის დაპრეკა. სფორცამ განცხადებანი გააპათოა ჯერ დასავლეთი ქვეყნების მოელმა პრესამ, დღეს კი გააბათოა თვით ჰაქტის ტექსტებაც.

— ატლანტიკის ჰაქტის წინააღმდეგ ბრძოლა ეს-ეს არის იწყებთ—განაცხადა დასასრულ ნენმ.—იგი იწყება დღეკანდელი კენჭისყრის მიზენტიდან! ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რაც კი ჩვენზეა დამოკიდებული, რომ თქვენთან შეეძლებელი გავხადოთ ჰაქტის გამოყენება, რომ ყოველგვარი ეულრესად სერიოზული დაბრკოლებები შეგიქმნათ გზაზე! ჩვენ ასე ვიმეორებთ, დარწმუნებულნი, რომ ვემსახურებით არა მარტო ჩვენს ფეიოვლებს, არამედ ვემსახურებით უნიონიას ყოველსა, ერთა მომავალს, მშვიდობის საქმეს და ჩვენი ხალხის ინტერესებს!

ვერც ერთმა ქრისტიანმა დემოკრატმ. ვერ გაბედა გამოსულიყო განცხადებით კენჭისყრის შესახებ. მთავრობის უმრავლესობა დასაკენრდა სარაკეტულ სიმონნინის გამოცდას. სიმონნინმ განაცხადა, რომ, მთელი მრეყეფის მეეხედოდ, მისი ჯგუფის უმრავლესობა ხმას მისცემს მთავრობის რეზოლუციას ატლანტიკის ჰაქტისადმი ზეერთების შესახებ.

რეზოლუციაში ნათქვამია: „დეპუტატთა პალატა იწონებს მთავრობის დეკლარაციას და გადადის დღის წესრიგზე".

ღია სახელმბითთ კენჭისყრა, რაც ოპოზიციამ მოითხოვა, დღისაგრეა 18 საათზე შემდეგი შედეგით: კენჭისყრაში მონაწილეობა პიიღო 531 დეპუტატმა. 342 დეპუტატმა ხმა მისცა მთავრობის რეზოლუციას, 170—წინააღმდეგ, 19—თავი შეიკავა.

ოპოზიციასთან ერთად ხმა მისცა უმრავლესობის ჯგუფის მხოლოდ ერმმა დეპუტატმა, პროფესორმა პიერმ კალამანდრეიმ, ყოფილი „სოციალისტთა კავშირის" წევრმა. კენჭისყრაში თავი შეიკავა 13 სარაკეტელმა, რომელთაც ამ პარტიის „მემარცხენე ფრთას" და „ცენტრს" ეკუთვნიან.

შედეგების გამოცხადების შემდეგ ქრისტიანი დემოკრატები დარბაზიდან გავიდნენ. ოპოზიციის ყკამეფთან ერთადაც ბოლოტესტია და ალუმანდროვის „კანტატა სტალინზე" შესრულებით.

სხდომა შესაფერი სიტყვით გახსნა სამმეულო ფრონტის ეროვნული საბჭოს გენერალურმა მდივანმა ვლადიმერ პოპტიმოვმა.

პოპტიმოვმა წინადადება შეიტანა — არჩეულ იქნას სახეიმო სხდომის სამეტო პრეზიდიუმი. როდესაც მან წარმოთქვა პირველი სახელი, მთელი პროგრესული კაცობრობის ბელადისა და მეგობრის ოსიპ ბესარიონის-ძე სტალინის სახელი, სხდომის ყველა მონაწილე ფეხზე დგება და მქუხარე ხანგრძლივი ოვაციით გამართა. სამეტო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ალუოფუ გეორგი დიმიტროვი, ბოლესლავ ბიერუტი, კლემენტ გოტვალდი, ორამდ საკაშინი, პეტრუ გროზა და ენვერ ხოჯა.

შემდეგ მოხსენება ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების პირველი წლისთავის შესახებ გაკეთა დიდი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ—ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოებათა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ მიხრა ნენჩევმა.

სხეიმი სხდომის მონაწილეებმა უდიდესი ღელვითა და ენთუზიაზმით მიიღეს ტელეტი მისასალმებელი დეპეშებისა გენერალისიმუს ი. ბ. სტალინისადმი, ბულგარეთის პრემიერ-მინისტრის გეორგი დიმიტროვისადმი და მშვიდობის დამცველ კულტურულ მოღვაწეთა ერთიერთობის საერთაშორისო კომიტეტისადმი.

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ხელშეკრულების პირველი წლისთავის დღესასწაული ბულგარეთში

სოფია, 18 მარტი. (საკდესი). ბულგარელი ხალხი დიდი კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის პირველ წლისთავს. მთელ ბულგარეთში მიმდინარეობს მშრომელთა კრებები, რომელზეც სამამული ფრონტის ადგილობრივი კომიტეტებისა და ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოებათა კავშირის წარმომადგენლები მოხსენებებს აკეთებენ თემაზე: „საბჭოთა კავშირთან დადებული ხელშეკრულება ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობის, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის აშენების გარანტიაა".

ვეშინ სოფიაში ხელშეკრულების წლისთავს მიეძღვნა საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრნენ დიდი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე დოქტორი მინჩო ნეიჩევი, მთავრობის წევრები, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გიორგი ჩანკოვი, სამამული ფრონტის ეროვნული საბჭოს და ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოებათა კავშირის წარმომადგენლები. სხეიმ კავშირის ელჩი ბულგარეთში მ. ო. ბოდრიკოვი, მთელი რიგი საელჩოებისა და მისიების მეთაურები, ბულგარეთის არმიის გენერალტეტები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, აგრეთვე მშრომელთა მასობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხეიმის სხდომა გაიხსნა სსრ კავშირის საგელმწიფო ჰიმნის და ალუმანდროვის „კანტატა სტალინზე" შესრულებით.

სხდომა შესაფერი სიტყვით გახსნა სამამული ფრონტის ეროვნული საბჭოს გენერალურმა მდივანმა ვლადიმერ პოპტიმოვმა.

პოპტიმოვმა წინადადება შეიტანა — არჩეულ იქნას სახეიმო სხდომის სამეტო პრეზიდიუმი. როდესაც მან წარმოთქვა პირველი სახელი, მთელი პროგრესული კაცობრობის ბელადისა და მეგობრის ოსიპ ბესარიონის-ძე სტალინის სახელი, სხდომის ყველა მონაწილე ფეხზე დგება და მქუხარე ხანგრძლივი ოვაციით გამართა. სამეტო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ აგრეთვე გეორგი დიმიტროვი, ბოლესლავ ბიერუტი, კლემენტ გოტვალდი, ორამდ საკაშინი, პეტრუ გროზა და ენვერ ხოჯა.

შემდეგ მოხსენება ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების პირველი წლისთავის შესახებ გაკეთა დიდი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ—ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოებათა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ მიხრა ნენჩევმა.

სხეიმი სხდომის მონაწილეებმა უდიდესი ღელვითა და ენთუზიაზმით მიიღეს ტელეტი მისასალმებელი დეპეშებისა გენერალისიმუს ი. ბ. სტალინისადმი, ბულგარეთის პრემიერ-მინისტრის გეორგი დიმიტროვისადმი და მშვიდობის დამცველ კულტურულ მოღვაწეთა ერთიერთობის საერთაშორისო კომიტეტისადმი.

მაკარჯურის განკარგულება სამხედრო დანაშაულთა გასამართლების შეწყვეტის შესახებ

პრაღა, 18 მარტი. (საკდესი). ტელეპრესის საგაგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ გენერალმა მაკარტურმა განკარგულება გასცა იმ სამხედრო დანაშაულთა გასამართლების შეწყვეტის შესახებ, რომელთაც ბრალად ედებათ იაპონელი ომის დაგეგმვა და მომზადება.

საყოველთაო გაფიცვა რომში

რომი, 17 მარტი. (საკდესი). დღეს რომის შრომის პალატის ინიციატივით დანიშნულია ატალიაში პაქტისადმი იტალიის მიმართის წინააღმდეგ ერთი საათის საყოველთაო სპეციალური გაფიცვა.

ქალაქის ცენტრში და იმ უბნებში, რომელიც ეთანხმებიან დეპუტატთა პალატის შეხმობას, სადაც სხდომა გრძელდება, თვიმოყრილია პოლიციის დიდი ძალები.

რომის პროფფიერებში ხდება მშრომელების, ქალების და უმუშევრების დემონსტრაციები.

უცხოეთის ქვეყნების პროგრესული საზოგადოებრიობა მხარს უჭერს წინადადებას მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვევის შესახებ

მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა მზერავდად უმერს მხარს მშვიდობის დამცველ კულტურულ მოღვაწეთა ერთიერთობის საერთაშორისო კომიტეტის და ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის წინადადებას მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვევის შესახებ.

პრაღა, ბერნი, ბრატისლავა, მორავსკა-ოსტრავეი, ოლომოუცისა და კომიტეტ (ჩეხოსლოვაკია) ემალელ სასწავლებელთა პროფესორებმა და მასწავლებლებმა, სტუდენტებმა, მეცნიერმა და ტექნიკურმა მუშაკებმა გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება, რომლითაც მიესალმებიან წინადადებას მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვევის შესახებ. ეს ორგანიზაციები „მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლნი" მთელ საკრანგეთში აწყობს ფართო კამპანიას მშვიდობის დასაცავად, ახალი ომის გამჩაღებელთა გეგმეს ეწინააღმდეგ. ამ ორგანიზაციის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ტრუმენისადმი გაგზავნილი წერილი, რომელშიც დაგმობილია ატლანტიკის ჰაქტი, ასევეა ათასობით ცალად გავრცელდა მთელ საფრანგეთში. მრავალმა ათასმა ფრანგმა ქალმა და კაცმა უკვე მოაწერა ხელი ამ წერილს ტექსტს.

რეპუბლიკა ქალების მშვიდობის დამცველ კულტურულ მოღვაწეთა ერთიერთობის საერთაშორისო კომიტეტმა და გაუგზავნეს დეპეშა, რომლითაც მხარეულად მიესალმებიან მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვევის ინიციატივას.

17 მარტი. (საკდესი).

მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვევის მოსამზადებელი კომიტეტის ცნობა

პარიზი, 19 მარტი. (საკდესი). 18 მარტს პარიზში შედგა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვევის მოსამზადებელი კომიტეტის სხდომა.

მოსამზადებელმა კომიტეტმა ამყოფილთნი ალნიშნა, რომ მომართვამ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვევის შესახებ ედოდესი გამომხმაურება ჰპოვა ყველა ქვეყანაში. საფრანგეთის, იტალიის, საბჭოთა კავშირის, ინდოეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ბელგიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, შვეიცარიის, დანიის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის, ალბანეთის, გერმანიის, ჰოლანდიის, ნორვეგიის, იუგოსლავიის, შეკიცარიის, ჩილეს, ბრაზილიის, ურუგვაის, არგენტინის, კუბის და სხვა ქვეყნების მრავალმა დემოკრატიულმა ორგანიზაციამ და პროგრესულმა მოღვაწეებმ დაუჭიროს მხარი წინადადებას მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვევის შესახებ. მან ხელი მოაწერეს მონაწილეობა მიიღონ ამ კონგრესში, რომლის მიზანია დარაზმის ყველა ქვეყნის ხალხთა მთელი ქმედითი ძალები, მიმართულნი მშვიდობის დასაცავად.

მოსამზადებელ კომიტეტი იუწყება, რომ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესი შედგება 20 აპრილს პარიზში. ყველა ორგანიზაციამ, რომელსაც კონგრესში მონაწილეობის სურვილი გამოუქვამ, არა უგვიანეს 5 აპრილისა უნდა აცნობის მოსამზადებელ კომიტეტს თავიდანვე ორგანიზაციის დელეგატთა ვვარაკი. კონგრესის მოსამზადებელად პრაქტიკული მუშაობისათვის შეიქმნა მოსამზადებელი კომიტეტის ბიუროი.

მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვევის მოსამზადებელი კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულია ფოლიო-ჟოლიო, თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეულ არიან: არაგონი, პიეტრო ნენი, ლეონ საიანი, მარტინი, ანდერსენ-ნექსე, ალექსანდრე ფადეევი, ეფეინ კოტონი, დ. ნ. პრიტი, ბერნალი, კარდელეია, ჯიროკ, როგე.

არჩეულია აგრეთვე მოსამზადებელი კომიტეტის სამდივნო, რომელშიც შედიან: ანატ ანან ბელეი, ივ ფარეი, ვერკორი, პიერ კოტი, მარიკლედ ვიალ ანტონიე, ლე ლიანი, დე შმპრენენ, ვი დე ბუასონი, დ'არუსეე, ლორან კაზანოვა, დ. ე. კროტტერი, მ. პრატი, პიეტეი ჯოსსონი, დიეუ-ბუეი, ელა ვინტერი, ალბერტ კანი, ვანდა ვასილევსკაია, ალექსანდრე კორნეიჩუკი, პ. ფედოსეევი, ვიტორიო გეი, დონინი, სურეენ, ანა ალექსანდრონი, ბერნსპარდ კელერმანი, ანა ზეგერსი, ილ დრდა, პრაგიროა, ხოსე ხრიალი, მეელ რაკ ანანდი, ეორენ ამადუ, ცაი ჩანი, უნტერმარტერი, მარინელიი.

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს რეზოლუცია

პარიზი, 18 მარტი. (საკდესი). გუშინ შედგა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომა. სხდომის დამოკლებულ ნათქვამია: „ატლანტიკის ჰაქტი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ბანკირთა ინტერესებს ემსახურებოდა, ეს ჰაქტი ომისკენ ბიძგ-ბიძგ ეზიდ ... ...